



Children with disabilities are one of the most isolated, disadvantaged and marginalized groups of children in Georgia. The research has confirmed that on a daily basis, they are subject to discrimination and their rights are violated!

According to the UNICEF research, due to misconceptions and discriminatory prejudice, more than 40% of the Georgian public harbor negative attitudes towards children with disabilities.



The stigma, negative attitude, or positive discrimination towards children with disabilities impede their personal, educational and professional development and result in their marginalization as adults with disabilities. Prejudice hinders their social integration and serves to systematically deprive them of their right to equality.



The two-year campaign to address these negative attitudes towards children with disabilities will be carried out by UNICEF with the support of the European Union and USAID and with active engagement of children with disabilities and their parents. The aim of the **Anti-Stigma Movement**

is to catalyze change in society's attitudes and social norms, and by so doing to overcome stigma towards children and youth with special needs through awareness raising, mutual understanding and solidarity. As such, the Anti-Stigma Movement is being pioneered by children with disabilities and their parents.



ანტი-სტიგმა მოძრაობის წევრი შენც შეგიძლია გახდე!

შემოგვიერთდი Facebook გვერდზე, გახდი სპეციალური სამაჯურის მფლობელი და ჩაერთე მოძრაობაში!

შემოგვიერთდი ღღესვე!

 www.facebook.com/dainaxeyvelaferi


You can become part of the Anti-Stigma Movement!

Join us on our Facebook page, get your membership wristband and participate in the Anti-Stigma Movement activities!

Join us Today!



#დაინახე ყველა ფერი



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ერთ ერთი ყველაზე გარიყული და დისკრიმინირებული ჯგუფია საქართველოში. კვლევებით დასტურდება, რომ ისინი ყოველდღიურად განიცდიან დისკრიმინაციას და მათი უფლებები ყოველდღე ირღვევა!

გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 40%-ზე მეტი არასწორი ცოდნის და დისკრიმინაციული ცრურწმენების საფუძველზე არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ უარყოფითი განწყობის, სტიგმის, მატარებელი.







ბავშვების მიმართ არსებული სტიგმები, ნეგატიური დამოკიდებულება თუ პოზიტიური დისკრიმინაცია, ხელს უშლის ბავშვებს და ზრდასრულ ადამიანებს განვითარებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციაში, სისტემატურად ართმევს მათ უფლებას იყვნენ თანასწორნი.




გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით და ევროკავშირისა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი მშობლების აქტიური მონაწილეობით, მთელი საზოგადოების ჩართულობით, ჩამოყალიბდა

ანტი-სტიგმა მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების დამოკიდებულებების და ქცევის ნორმების შეცვლას და სტიგმის დაძლევას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ ცოდნის გავრცელების, ურთიერთგაგებისა და სოლიდარობის გზით. მოძრაობის ლიდერები სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მათი მშობლები არიან.







ანტი-სტიგმა მოძრაობა მთელი საქართველოს მასშტაბით ჩაატარებს საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომლებიც დაეხმარება საზოგადოებას:

-  გაიაზროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ არსებული მითები და გაერკვეს რეალობაში.
-  დაამყაროს კონტაქტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან და დარწმუნდეს მათ შესაძლებლობებსა და პოტენციალში.
-  ისწავლოს, საჭიროების შემთხვევაში თუ როგორ შეიძლება დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს განვითარებაში და თავადაც განვითარდეს.
-  ისწავლოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან თანასწორუფლებიანი თანაარსებობა.







ანტი-სტიგმა მოძრაობის სამოქმედო ტაქტიკა

რა იგეგმება?

-  წარმატებული ვიდეო და ფოტოისტორიები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი მშობლების მონაწილეობით, რომლებიც გვიჩვენებს, თუ როგორ ახერხებენ ბავშვები და მათი მშობლები, მიუხედავად უამრავი ბარიერისა, გამოავლინონ და გამოხატონ საკუთარი თავი, გაძლიერდნენ და გახდნენ მაგალითი თავიანთი თანატოლებისთვის.
-  კომიქსების სერია, რომელიც გვასწავლის, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ სხვადასხვა სიტუაციაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისას.
-  ვიდეო და ონლაინ კონკურსები სკოლის მოსწავლეებისთვის.
-  გადაცემებისა და დისკუსიების ციკლი წამყვან პოპულარულ არხებზე, მათ შორის რეგიონალურ ტელევიზიებში.
-  სატელევიზიო კონკურსები ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ჩართულობით.
-  მოძრაობის პრეზენტაციები რეგიონული მასშტაბით, ქუჩის აქციები, ფესტივალები და ხმაურიანი და მხიარული მსვლელობები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების და მათი მშობლების მონაწილეობით.

The educational activities of the Anti-Stigma Movement being carried out across Georgia will help society to:

-  Analyze existing misconceptions towards people with disabilities and understand the reality of their lives.
-  Engage with and integrate people with disabilities and become convinced of their capabilities and potential.
-  Understand how to support the personal, social and professional development of people with disabilities, if the need arises, and also develop itself.
-  Learn equal coexistence with persons with disabilities.



The following are some of the tactical activities planned within the framework of Anti-Stigma Movement:

-  A series of photo and video podcasts of children with disabilities and their parents sharing their success stories detailing how despite immense barriers, the children and their parents manage to self-actualize, express themselves, grow stronger and become role-models for their peers.
-  A series of formal educational commixes, explaining how to handle a range of situations with children with disabilities.
-  Video and online contests for school children.
-  A series of TV shows and discussions on popular TV channels, including regional broadcasters.
-  TV contests with participation of local municipalities.
-  Anti-Stigma Movement presentations across Georgia, including street manifestations, festivals, and fun demonstrations where children with disabilities and their parents participate.